SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

CYCLOPHOSPHAMIDE - ENDOXAN - FORME ORALE®

რა არის ENDOXAN - FORME ORALE (ორალური ფორმა)

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ციკლოფოსფამიდი	50 მგ-იანი ტაბლეტი: თეთრი, მრგვალი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში არის ..... მგ/დღეში. ანუ 50 მგ-იანი ..... აბი დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ დილას, ...(მიუთითეთ, უწყვეტლივ იღებთ თუ არა).

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, დილას უზმოზე ან საუზმის განმავლობაში.

დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ფიქსირებულ დროს, დილას	
უწყვეტლივ	
არსებობს მიღების სხვა სქემები მაგალითად 1-დან 14-ე დღემდე, განაახლეთ 29-ე დღეს	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს და თირკმლისა და ღვიძლის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

ENDOXAN -FORME ORALE®-ის და თქვენი სხვა წამალს შორის ურთიერთქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (მედიკამენტის ეფექტურობისა და მისი ამტანობის დაქვეითება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის წვენის მიღებას ENDOXAN®-თან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	**საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები**: გულისრევის შეგრძნება, ღებინება, დიარეა, ანთება პირის ღრუში (აფთები) **სისხლის ანალიზის ანომალია**: თეთრი სისხლის უჯრედების რაოდენობის დაქვეითება (ნეიტროპენია) და ღვიძლის ფუნქციური ანალიზის ანომალიები **სტერილობა** ქალსა და მამაკაცში **სხვა**: სიცხე, საშარდე გზების ინფექცია, სისხლი შარდში(შარდის ბუშტის გაღიზიანებით გამოწვეული), თმის ცვენა (ალოპეცია)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**მომნელებელი სისტემის დარღვევები** > წონის სწრაფი და/ან მნიშვნელოვანი კარგვა > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > პირის ღრუს ტკივილი ან წყლულები, რომლებიც ხელს უშლის ნორმალურ კვებას > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > არ შეგიძლიათ დალიოთ 24 საათის განმავლობაში ან ჭამოთ 48 საათის განმავლობაში. > **სიმპტომები, რომლებიც მიუთითებენ თირკმელების დარღვევებზე** > სისხლი შარდში > სირთულე მოშარდვისას ან უშარდობა **ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** > ტემპერატურა > 38,5 °C > ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად **ფილტვების არეში დარღვევების მაჩვენებელი სიმპტომები** > დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება **გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები** > გონების დაკარგვა, გულის ფრიალი
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
სტომატოლოგიური ჰიგიენა	**გამოიყენეთ** რბილი კბილის ჯაგრისი და პირის ღრუს სავლები ნატრიუმის ბიკარბონატით. **მოერიდეთ** მენთოლის ან ალკოჰოლის შემცველ პირის ღრუს სავლებს
ინფექცია	**მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ.
წონა	**გააკონტროლეთ** რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს.
სტერილობა	**მოიძიეთ ინფორმაცია** სპერმისა და გამეტების შენახვასთან დაკავშირებით, სანამ დაიწყებთ მკურნალობას.
თმის ცვენა	**შეიჭერით** თმა. **მოიძიეთ ინფორმაცია** პარიკებსა და მათ დაფინანსებაზე.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულისრევის შეგრძნება	**უპირატესობა მიანიჭეთ** ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. **შეზღუდეთ** ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

დიარეა	**უპირატესობა მიანიჭეთ** დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. **არ მიირთვათ** უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.
ანთება პირის ღრუში (წყლულები)	**მოერიდეთ** მჟავე ან წებოვანი საკვების მიღებას და ძალიან მარილიან საკვებს.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის